მაია არავიაშვილის ინტერვიუ კულტურის ცენტრ ,,ფესვები“-ს ქართულის პედაგოგთან, რუსუდან გალდავასთან

2023 წლის, 24 მარტი, ნიუ იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები

ინტერვიუერი: დღეს ჩვენი რესპონდენტია ქალბატონი რუსუდან გალდავა. გთხოვთ, მოგვიყვეთ თქვენს შესახებ, როდის დაიბადეთ, სად? ბიოგრაფიული ინფორმაცია:

რესპოდენტი: დავიბადე ქალაქ ქუთაისში 1953 წელს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. დედა არ მუშაობდა. იქვე დავამთავრე 32-ე საშუალო სკოლა, შემდეგ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ისტორია -ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ გავთხოვდი და საცხოვრებლად გადავედი ქალაქ სოხუმში. ვმუშაობდი პორტის ბაღი იყო , ნომერი მეცხრე ბაღი. იქ ვმუშაობდი აღმზრდელად. გავთხოვდი, შემეძინა ორი ვაჟი. შემდეგ ცნობილი მოვლენების გამო წამოვედი თბილისში, ვმუშაობდი სააავიაციო ქარხნის 66-ე საბავშვო ბაღში ჯერ აღმზრდელად, მერე მეთოდისტად. შემდეგ 83-ე და 152-ე საჯარო სკოლებში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით და სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. შემდეგ სულ შეიცვალა ჩემი ცხოვრება.

ჩემი მული წამოვიდა ამერიკაში და შემდეგ ჩემი ქმარიც მიიწვია ტურისტული ვიზით. 6 თვე აქ გაატარა და ისიც დარჩა..

ინტერვიუერი: რომელი წელია, ქალბატონო რუსუდან, რომელ წელს წავიდა თქვენი მული და რომელ წელს მერე თქვენი მეუღლე?

რესპონდენტი: ზუსტად არ მახსოვს, ჩემი მული 1997 წამოვიდა, მგონი და 2003-ში ტურისტულით წამოვიდა ჩემი მეუღლე. ჩვენთან ზუსტად სამოქალაქო ომის პერიოდი იყო , აქ პოლიტიკური მოითხოვა, მისცეს და შემდეგ ოჯახის შეერთების

პროგრამით ჩამოგვიყვანა მე და ჩემი უმცროსი ვაჟი, მაშინ 21 წლის იყო , ის ჩემზე ადრე წამოვიდა. უფროსი ვაჟი იქ დარჩა. უცხო ქვეყანაში ჩამოვედი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, უცხოობა არ მიგრძვნია იმიტომ, რომ აქ დამხვდა ქმარი, შვილი, ძმა , რძალი, მული, მულიშვილი. რაღაცნაირად ოჯახური გარემო შეიქმნა, მე მელოდნენ, რომ უნდა ჩამოვსულიყავი .

ბეი რიჯზე , ნიუ იორკის ერთ-ერთ უბანში გაიხსნა საბავშვო ბაღი, უკრაინელები იყვნენ გამგეები და იცოდნენ, რომ უნდა ჩამოვსულიყავი . მე 18 წელი მქონდა ბაღში ნამუშევარი, გამოცდილება მქონდა . მიმიწვიეს და ვმუშაობდი ძალიან კარგად. ერთი წელი ვიმუშავე და წამოვედი, დაზღვევა დამჭირდა . საბავშვო ბაღს არ აქვს იმხელა პაკეტი, რომ შეიძინოს დაზღვევა და წამოვედი და სწორედ მაშინ მივიღე ეს შეთავაზება:შეიქმნა

ქართული კულტურის ცენტრი ფესვები” და ქართული ენის მასწავლებლად მიმიწვიეს. ეს იყო გასაოცარი , წარმოუდგენელი რაღაც, არ ველოდი. მე რომ წამოვედი, ამდენი წლის ნამუშევარი , ჩავკეტე ჩემი წიგნები, დავჯექი, გამოვიტირე ჩემი პროფესია და უცებ ამერიკაში მთავაზობენ, ჩვენთან, ჩვენს ბავშვებს ასწავლეო. 2007 -ში ჩამოვედი და 2008-ში უკვე მივედი ,,ფესვებში”სამუშაოდ და იმის შემდეგ ,,ფესვებში” ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. მაგრამ იმდენად მრავალმხრივი გახდა ჩემი მუშაობა ამერიკაში. სიმართლე გითხრათ, საქართველოში რომ ვყოფილიყავი , ეს მოხდებოდა თუ არა, არ ვიცი. მე ჩემი მუშაობის გამოცდილება მქონდა. ჩამოვედი და აქ სულ თავდაყირა დადგა ჩემი მუშაობის გამოცდილება იმიტომ, რომ აქ დაბადებული ბავშვები არიან, ამათ სპეციფიკური შეცდომები აქვთ წარმოთქმაში, სახელმძღვანელო არ არსებობდა საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის , ემიგრაციაც არ იყო იმდენად ჩამოყალიბებული და შეკრული. ყველაფერზე ვიმუშავე და სხვათა შორის, ყურადღების მიღმა არ დარჩენია ჩვენს მთავრობას., რამდენჯერმე მიწვეული ვიყავი საქართველოში დაჯილდოებაზე . მართლაც, ძალიან რაღაც სხვა შეგრძნება , რომ შენს სამშობლოში არ ცხოვრობ , მაგრამ სამშობლოს ახსოვხარ. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ემიგრანტისთვის და მე

მქონდა ეს ბედნიერება. რომ ამბობენ ხოლმე , აი, ემიგრანტი, გაუცხოება, რაღაც ახალი-მე არ მქონია იმიტომ, რომ წეღანაც ვთქვი, აქ მყავდა ოჯახის წევრები, ვაკეთებდი ჩემს საქმეს და ამით ვიყავი ბედნიერი.

2020 წელს ქალაქ ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორის ირინე ჯგერენაიას, ბარსელონას წმინდა ანთიმოზ ივერიელის ტაძრის წინამძღვრის ლუკა ფალავანდიშვილისა და ამავე ტაძართან არსებული წმინდა ნინოს სახელობის ქართული საკვირაო სკოლის მასწავლებლის მარინა წიქორაძის იდეა იყო შექმნილიყო მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია მეც მიმიწვიეს.

რადგან ხშირად დავდიოდი შეხვედრებზე საქართველოში და პრაქტიკულად ყველა ქვეყნის საკვირაო სკოლის მასწავლებლებს ვიცნობდი, შევქმენით ,,მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაცია", რომლის პრეზიდენტი გახლავთ ირინე ჯგერენაია , ხოლო ვიცე-პრეზიდენტი ვარ მე .

წარმოიდგინეთ, რომ 2020 წლის აგვისტოში უკვე შედგა პირველი შეხვედრა , ესწრებოდა 64 მასწავლებელი, ესწრებოდნენ დიასპორის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ჩვენი ალიონა ჩხოტუა, ვარდენ ნიქაბაძე. ესწრებოდა ძალიან სერიოზული ხალხი და მასწავლებლები მთელი მსოფლიოდან. იმის შემდეგ კიდევ გაიზარდა ასოციაცია, ძალიან ბევრი სკოლა შემოემატა, გაიხსნა ახალი სკოლებიც. წარმოიდგინეთ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი საკვირაო სკოლის მასწავლებლები ერთმანეთს შეხვდნენ-ეს იყო უდიდესი ბედნიერება.

6 თუ 7 საათი გაგრძელდა პირველი შეხვედრა. ის დღე როგორ გავიდა, არ გაგვიგია. ეს იყო სიხარულის , მონატრების, რაღაც ახლის გაგების, სამშობლოს ჩახუტების დღე, ან ყველაფერი ერთად.

ინტერვიუერი:და სად შედგა ეს თქვენი შეხვედრა, ბოდიში, რომ გაგაწყვეტინეთ

რესპოდენტი: ზუმით, ზუმით შედგა პირველი შეხვედრაც და შემდეგი შეხვედრა ვარდენ ნიქაბაძემ წარმართა, თანამედროვე სწავლების პრობლემებზე ილაპარაკა.

შემდეგ, საოცარი იყო რომ(იღიმის), ჩვენი პროფესიული დღესასწაული მასწავლებელთა საერთაშორისო დღე , 5 ოქტომბერი ერთმანეთს მივულოცეთ ზუმით, ჩვენს საკონსულოებში შევიკრიბეთ და ასე. აი, ტიროდნენ გოგონები რა !(იღიმის) და რა არის იცით, ძალიან ბევრ ქვეყანაში არიან მასწავლებლები წასული საკუთარი ჯანმრთელობის სამკურნალოდ და საკუთარი სახსრებით აკოწიწებენ სკოლებს, აი, უსასყიდლოდ . ბავშვებს რომ ეძებენ და ისე აგროვებენ.

ბელგიაში, ანტვერპენში გვყავს მანანა ხორბალაძე . თავიდან, ეკლესიაში რომ მოდიოდნენ ბავშვები, ენის გასატეხებით ვავარჯიშებდი და ისე ვასწავლიდი წერა-კითხვასო. ადგილი, ოთახი არ ჰქონდათ, მერე ნელ-ნელა აეწყო ყველაფერი. სხვათაშორის ეკლესიებმა ძალიან დიდი როლი ითამაშა, მათ ხელი შეუწყვეს საკვირაო სკოლების შექმნას.

ინტერვიუერი: რა ფორმით უწყობდნენ ხელს, ვთქვათ, სივრცეს ყოფდნენ, რესურების მოძიებაში ეხმარებოდნენ, ვთქვათ, რა ფორმით?

რესპოდენტი: დიახ, დიახ, თვითონ ეკლესიაში , როცა წირვა-ლოცვა არ იყო, უთმობდნენ ოთახს.

ახლა კანადაში შეისყიდეს მიწის ნაკვეთი და ეკლესიაც ააშენეს. აქვე გაიხსნა საკვირაო სკოლა. იგივე მოხდა საფრანგეთშიც. ჩემთვის აღმოჩენა იყო ის ფაქტი, რომ კანადაშიც და საფრანგეთშიც ეკლესიის მშენებლობაში უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ რუმინელი ქრისტიანები. სამსახურის შემდეგ მოდიოდნენ ახალგაზრდა ბიჭები და მუშაობდნენ ძალიან დიდი მონდომებით. როცა საფრანგეთში საკუთარი ეკლესია არ გვქონდა, ისინი ჩვენს მამაოებს უთმობდნენ დავუშვათ, აღდგომის დღესასწაულისთვის საკუთარ ეკლესიას, თქვენ ჩაატარეთ ქართულად მსახურებაო. ჩემთვის ეს ფაქტი ძალიან უცხო იყო, რუმინელი ხალხის სიყვარული ქართველების მიმართ. რატომღაც მე ამის შესახებ ნაკლები ინფორმაცია მქონდა.

საახალწლოდ განვახორციელეთ პროექტი ,,ადგილსამყოფელი ქვეყნების საშობაო ტრადიციები". ისევ ზუმით გავაკეთეთ შეხვედრა (იღიმის). ამ დროისთვის უკვე

საქარამთველოდანაც შემოგვიერთდნენ სკოლები. ძალიან ძლიერი სკოლაა ქუთაისის მე-17 საჯარო. ისინი ჩავიდნენ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში და იქედან ჩაგვერთვნენ. ჩვენ ამერიკიდან ჩავერთვეთ, ვაჩვენეთ, როგორ და რით რთავენ ნაძვის ხეს , საიდან მოდის ეს ტრადიცია. იმდენად საინტერესო პროექტი გამოვიდა და იმდენი სკოლა მოემზადა, რომ ორდღიანი ჩართვა გვქონდა რამდენიმე საათი.

ჩვენი ასოციაციის პრეზიდენტი არის ახალი პროექტების ავტორი და მისი იდეა იყო შეგვექმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი საზღვარგარეთ არსებულ საკვირაო სკოლებზე. მოვიწვიეთ რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე, ეს ის რეჟისორია, ფილმი რომ გადაიღო ექვთიმე თაყაიშვილზე. ჰოდა, ეს რეჟისორი მოვიწვიეთ, დგვეთანხმა და პირველად ამერიკაში ჩამოვიდნენ, გადაიღეს ,,ფესვები", შემდეგ წავიდნენ ნიუ ჯერსიში, იქ გვაქვს საკვირაო სკოლა, შემდეგ -ფილადელფიაში. ჩვენი მეუფე საბა ინწკირველი იქ მოღვაწეობს. ზოგადად, 12 საკვირაო სკოლა გადაიღო ევროპაში, ამერიკაში და როგორც ახლა რეჟისორისგან ვიცით, სადღაც მაისში უნდა იყოს პრეზენტაცია საქართველოში და ამ ქვეყნებშიც ჩამოვა. ამ ფილმში დაფიქსირებულია ჩვენი ბავშვები ყოველდღიური ცხოვრებით, არის ცეკვაც, ქართულის გაკვეთილი, ასევე, რას აკეთებენ მშობლებთან ერთად. ძალიან საინტერესო პროექტი იყო. ჩვენი ორწლიანი მუშაობის გვირგვინი გახდა სახელმძღვანელო ,,საგზალი", რომელიც გავაკეთეთ სახარებაზე დაყრდნობით და რომელიც ითვალისწინებს ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის გაერთიანებას. პირველი სიტყვა, რომელსაც ჩვენ ვასწავლით, არის ,,იესო" და შემდეგ ნელ-ნელა მივყვებით. წიგნი კალიგრაფიულად არაჩვეულებრივად არის გაფორმებული თითოეული თითოეული ასო, რომლის ავტორია მარინა წიქორაძე, ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის ქართული საკვირაო სკოლის მასწავლებელი. აქვე აღვნიშნავ, რომ ქალბატონმა მარინამ კალიგრაფიის უფასო გაკვეთილები ჩაუტარა მთელი წლის განმავლობაში ბარსელონადან ნიუ იორკში, ,,ფესვების" ბავშვებს.

წიგნი გამოიცა ქუთათელ გაენთელი მიტროპოლიტ მეუფე იოანესა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით.

როგორც ხედავთ (წიგნს გვიჩვენებს) შემდეგი გაკვეთილი არის ოჯახი და დართული აქვს წმინდა მარიამის ოჯახის ხატი. ჩვენი ბავშვები მაზიარებლები არიან და იციან, რა არის ხატი. რომ ეს არის პატარა მარიამი და მისი მშობლები ანა და იოაკიმი.
წიგნი უფასოდ დაგვიბეჭდა საპატრიარქოს გამომცემლობამ და მშობლებმა ჩამომიტანეს და მე ამ წიგნით ვასწავლი უკვე.

ინტერვიუერი: ანუ ამ ასოციაციის ფარგლებში ითანამშრომლეთ საპატრიარქოსთან, რესურსის შინაარსის მომზადებაში ალბათ თქვენ, პედაგოგებმა მიიღეთ მონაწილეობა და საპატრიარქომ უკვე ბეჭდვაზე აიღო პასუხისმგებლობა?
რესპოდენტი: დიახ, დიახ, მეუფესთან აუცილებლად გჭირდება კონსულტაცია, რომ თითოეული სიტყვა სწორად იყოს ჩასმული, რამეთუ აქ ამონარიდებია სახარებიდან, ოთხივე მახარებელს ვაცნობთ ძალიან ელემენტალურად, რომ ბავშვებმა სახელები დაიმახსოვრონ. ადვილია ისეთი სახელების დამახსოვრება, როგორიცაა გიორგი, ნიკოლოზი, ანდრია, მათე. აი, მარკოზი კი დღეს ახლა მართალი გითხრათ, არ გვხვდება.
ყოველ წელს 100-120 ბავშვი გვყავს ,,ფესვებში “და ეს ბავშვები ჩემთან ერთად მონაწილეობენ ასოციაციის პროექტებში. ჩვენი კულტურის ცენტრის ხელმძღვანელები არიან ივანე გოდერძიშვილი და შორენა ბარბაქაძე . ყოველ შეხვედრაზე ვთხოვ ხოლმე , რომ სხდომას დაესწრონ , რომ ხალხმა გაიცნოს. ყოველთვის მპასუხობენ , რომ მე რომ იქ ვარ , ესეც საკმარისია. ძალიან თავმდაბალი ადამიანები არიან და არ უყვართ თავის გამოჩენა.
,, მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციიდან “ ჩავერთეთ ლონდონის საერთაშორისო -სამეცნიერო კონფერენციაში. ეს იყო მეტად საინტერესო კონფერენცია საქართველოს ისტორიის და ზოგადად, მსოფლიო ისტორიის თემებით. 2020 წელს დავიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა , უკვე ჩატარდა 9 კონფერენცია და მე-10 ჩატარდება მაისის ბოლოს.

წარმოიდგინეთ, რამდენად საჭიროა საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვისთვის საქართველოს ისტორიის გაცნობა. მოკლედ წარმოიდგენთ რამდენიმე კონფერენციის თემატიკას:

1 პასეფაის მემკვიდრეობა-ფესტოს დისკო;

2 ფრიდრიხ ბლუმენბახის ,,ჩემი მშვენიერი ქართველი ქალის თავის ქალას" მიხედვით რასების თეორია;

3. პირველყოფილი ადამიანები და საქართველო;

4. ქრისტიანობის შემოსვლა და მისი წინაპირობა;

5. შ. რუსთაველი ,, ვეფხისტყაოსნის" ზოგადსაკაცობრიო ეტალონები;

6. საქართველო, როგორც მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სამშობლო. აქ განვიხილეთ მეფუტკრეობა საქართველოში. აქ ცოტას გადავუხვევ თემიდან. ჩვენ აქ, პენსილვანიაში გვაქვს მიწის ნაკვეთი და გვყავს ფუტკარი ძირითადად, იტალიური , მაგრამ ქართულიც(იღიმის). იტალიური ფუტკარი ძალიან შრომისმოყვარეა, მაგრამ ჩვენს ფუტკარს აქვს გრძელი ხორთუმი და თაფლსაც მეტს აწარმოებს. ჩვენი ბავშვები ძალიან ინტერესიც მოეკიდნენ ამ თემას . როცა ამ თემას ვამუშავებდით, ჩვენმა შორენამ დადგა ფუტკრების ცეკვა.

ასევე იცნობენ ჩვენი ბავშვები ამერიკაში მოღვაწე წარმატებულ ქართველებს.

ეს პროექტები დააფინანსა რუსთაველის საზოგადოებამ და იღებენ დოკუმენტურ ფილმს, დაიდება YouTube-ზე. შემდეგ გვქონდა ,,ცეკვა არქეოლოგიაში, "ძალიან საინტერესო თემა იყო. ახლა 26-ში გვაქვს შემდეგი კონფერენცია,,ფარმაკოლოგიის ისტორია"განვიხილეთ საქართველოც და ყველა ქვეყნის ფარმაკოლოგიაც, კარაბადინიდან თანამედროვე ამერიკულ ფარმაკოლოგიურ ფირმებამდე. შემდეგი თემა იქნება ქართული ხელოვნების ისტორია და ბოლო, მეათე კახეთისა და ნიუ იორკის ისტორია.

ამჯერად მშობლები ჩავრთე და შევთავაზე აარჩიონ, ნიუ იორკის რომელი ადგილები აინტერესებთ. აღმოჩნდა, რომ ბევრს აინტერესებს მეტროპოლიტენ ოპერა,მუზეუმები, სხვადასხვა უბნები. ვნახოთ, ვინც მეტ ხმას მიიღებს, იმ თემას

დავამუშავებთ. მაისში მთავრდება ეს პროექტი და ის ბავშვები, რომლებმაც ამ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, მიწვეული იქნებიან საქართველოში და დაჯილდოვდებიან მედლებითა და სიგელებით.

ათივე კონფერენციაში მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდებიან მედლებით. დანარჩენები, ორ კონფერენციაშიც რომ ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული-სერთიფიკატებით.

საქმე ისაა, რომ პროექტი დავიწყეთ 2020 წელს, ბავშვები იზრდებიან და მიდიან კოლეჯებში. ამიტომ მათი შრომაც დაფასებულია.

ამ კონფერენციის იდეის ავტორია ლონდონის ორგზის ოქროს ორსენოსანი ქართული საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი ქალბატონი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი. ეს გახლავთ უძლიერესი სკოლა ასეთივე მასწავლებლით.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ამერიკაში ბევრი დამ მომწონს , მაგრამ განსაკუთრებით ის, რომ თუ ბავშვს სწავლა უნდა, რა განხრაც არ უნდა იყოს, საშუალება ეძლევათ იმ კუთხით ისწავლოს, რაც აინტერესებს: არქიტექტურა , ხელოვნება , ცეკვა, სიმღერა და ასე შემდეგ.

ახლა აქ ძალიან ბევრი წარმატებული ქართველია, სულ ახალგაზრდები, ემიგრაციაც გაიზარდა, გაძლიერდა, ჩამოყალიბდა, დასტაბილურდა , რამდენიმე ახალი კულტურის ცენტრი გაიხსნა.ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებით. აქ არის ,, Dancing Crane Company,»ლიკა და ვიქტორ სირელსონების, ჩვენი ცუცა კაპანაძე იქ მუშაობს.

აქ არის ,, Irina’s Dance Academy “. ვატარებთ ერთობლივ ღონისძიებებს, ვთანამშრომლობთ.

14 აპრილს ვატარებს დედა ენის დღისადმი მიძღვნილ საღამოს, დაგვესწრებიან ჩვენი საკონსულოს წარმომადგენლები. ჯერ-ჯერობით მხოლოდ კონსულის მოვალეობის შემსრულებელი გვყავს, მაგრამ უძვირფასესი პიროვნებაა და მოხარული ვიქნებით მისი მასპინძლობით.

ის რაც აქ ჩამოვთვალე, ყველაფერი ერთად იმდენად მაბედნიერებდა, რომ ფრთაშესხმული ვიყავი. ერთმა ქალბატონმა მომწერა, ისეთი ბედნიერი ადამიანი

იყავი, მშურდა თქვენიო. ჰოდა, საუბედუროდ, ჩემი უფროსი შვილი, ერაყიდან დაწყებული რამდენიმე ომს გადარჩენილი აქ დამეღუპა. წავიდა და ჩემი სიცოცხლეც თან წაიღო. აზრი დაკარგა ცხოვრებამ, აღარც მიფიქრია სამსახურში გასვლა, ვერც წარმომედგინა. მაგრამ მშობლები და ბავშვები სახლში მოდიოდნენ, ოღონდ, არ დაგვტოვოო. ეს რაც შეეხება გაკვეთილებს.

მერე სამი კონფერენცია იყო დარჩენილი. ბავშვები მესამე წელია, ემზადებიან, სწავლობენ. ზუმის ვხვდებოდით ერთმანეთს, ვმეცადინეობდით, მასალებს ვიძიებდით, ვამუშავებდით, გაგვქონდა კონფერენციებზე და ბავშვების მთელი ეს ნამუშევარი დამენანა, შემეცოდა და დავთანხმდი, გამეგრძელებინა მუშაობა.

მოკლედ, აქ ბედნიერი, ხალისით სავსე ცხოვრება მქონდა, საინტერესო . მაგრამ ახლა უკვე ყველაფერმა ფასი დაკარგა.

ახლა გავერთიანდი უწყვეტი ლოცვის ჯგუფში, ანუ 24-საათიანი ლოცვის ჯგუფებია, იკითხება ფსალმუნები, გაწევრიანებული არიან ქართველები სხვადასხვა ქვეყნიდან: საქართველო, ავსტრია, გერმანია, ისრაელი, ამერიკა, ბელგია , მოკლედ ძალიან ბევრი ქვეყანაა ჩართული.

ინტერვიუერი: თქვენ თავდაპირველად ნიუ იორკში ჩამოვრძანდით, ჰო და დიდი ალბათობით მიზეზი ის იყო, რომ ოჯახის წევრები ფაქტიურად აქ გყავდათ?

რესპოდენტი: დიახ, დიახ, არც მიფიქრია , სხვა შტატში გადასვლა . ჩემი მული გადავიდა მაიამიში და გადმოდითო, მაგრამ ეს შტატი იმდენად ჩემეულად მივიღე, რომ ვერსად ვერ წავალ.

ორი წლის წინ მე და ჩემმა მეუღლემ ქორწინების 50 წლისთავი გვქონდა და დემოკრატიულმა პარტიამ კარგი მიღება გაგვიკეთა და სამახსოვრო სიგელით დაგვაჯილდოვა. ვცდილობთ, მოვერგოთ ამ ქვეყანას. ეს სახელმწიფო მოითხოვს, იყო კანონმორჩილი, წესიერი და სამაგიეროდ, არ გზღუდავს, იშრომე, ისწავლე, სახლი, მიწა იყიდე-ყველაფერი გააკეთე კანონიერების ფარგლებში. ეს ყველაფერი

მისასალმებელია, ეს ყველა ქვეყანაში ასე უნდა იყოს, ყველგან კანონის უზენაესობა უნდა იყოს.

ინტერვიუერი: ძირითადი გადაწყვეტილება თქვენი, რომ ამერიკაში წამოსულიყავით, გარდა იმისა, რომ ოჯახის ახლო სანათესაო აქ გყავდათ რა იყო? რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, რომ ამერიკაში წამოსულიყავით, რა იყო ძირითადი ფაქტორი?

რესპოდენტი: მოგეხსენებათ, წეღანაც აღვნიშნე, 90-იანი წლები იყო, ძალიან ჭირდა იქ ცხოვრება, იყო უშუქობა, სიცივე, უმუშევრობა. მერე ის, რომ ჩემი მეუღლე წამოვიდა და დაბრუნებას არ აპირებდა. მე რომ არ წამოვსულიყავი, ფაქტიურად , ოჯახს ვკარგავდი, ჩამოვედი და ოჯახი შევინარჩუნე. აი, რომ ვთქვა, რომ მინდოდა სამშობლოს მიტოვება, ამერიკაში წამოსვლა, არც მიფიქრია. მე ფრანგული ენა ვიცოდი კარგად და ქუთაისში, ფრანგულის კათედრაზე მთხოვდნენ, გადავსულიყავი უცხო ენების კათედრაზე და თუ წავიდოდი, საფრანგეთის ნახვა მინდოდა, მეტი არაფერი. ამერიკაზე არც მიოცნებია.

თუმცა ასაკის მატებასთან ერთად მაინც გამიჩნდა ნოსტალგია, მონატრების გრძნობა, ამას ჰქვია მიწის ყივილი, თუ რა არის, არ ვიცი. თბილისში ჩვენ გვაქვს სახლი.

ინტერვიუერი: გიფიქრიათ, თუ არა დაბრუნებაზე, ვთქვათ, ან ახლა, ან გარკვეული პერიოდის მერე თუ გეგმავთ , რომ დაუბრუნდეთ სამშობლოს?

რესპონდენტი: კი...კი, აი, აი, როგორც კი პენსიაზე გავიდოდით, გვინდოდა წასვლა. ახლა ჩვენი შვილი აქ დავასაფლავეთ. თუ წავედით, აუცილებლად გადავასვენებთ, მაგრამ სამი შვილი ჰყავს , ყველა აქ არის. ყველა დაბრუნდება, თუ არ დაბრუნდება, არ ვიცი. ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურად იმდენად დამთრგუნველია, ახალია, გაუცნობიერებელია. ყველაფერი კარგად იყო: დალაგებული, მოწესრიგებული . ახლა კი... ამ ბოლო დროს აკაკი წერეთლის სიტყვები ამეკვიატა : ,,მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?". მთელი ცხოვრება გავიდა, ამ სიტყვებზე არც მიფიქრია, ბოლო ერთი თვეა, თუ სამი კვირა, სულ ამ თავში მიტრიალებდა. დედის

გული ყველაფერს გრძნობს და მეც ცუდს ვგრძნობდი, თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო (სიჩუმე) ინტერვიუერი: ძალიან მძიმე ისტორია გაქვთ! რესპოდენტი: დიახ! რესპოდენტი: თუ გავიხსენებთ და შევადარებთ ქართულ და ამერიკულ ცხოვრებას, რამდენად განსხვავებულია, თქვენი მოლოდინები რა იყო, აქ რა დაგხვდებოდათ, რამდენად დაემთხვა თქვენს მოლოდინებს, ან განსხვავებული სიტუაცია დაგხვდათ. მართალია, განსხვავებული სიტუაცია დაგხვდათ, მართალია სირთულეებს და გამოწვევებს ნაკლებად შეხვდით. როგორც გვითხარით და არც გიგრძვნიათ, რომ უცხო ქვეყანაში იყავით, მაგრამ რომ გაიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც პირველი პროცესები და გამოწვევები შეგხვდათ წამოსვლის დროს. რესპოდენტი: ახლა ჩვენ ვარკეთილში ვცხოვრობთ. ამ უბანში ხუთი სამხედრო გადავიდა საცხოვრებლად თავის მომვლელებთან ერთად. მოსწონთ ჩვენი ტრადიციები, საღამოობით ეზოში იკრიბებიან, ჩააქვთ თეფშით საჭმელი, სასმელი და საუბრობენ, ნარდს თამაშობენ, ერთობიან. ეს ძალიან მოსწონთ ჩვენს უცხოელ მეგობრებს. როგორც ახალგაზრდა სახელმწიფოს, ამერიკას სურს კარგი ტრადიციების დამკვიდრება. ალბათ ამიტომ ემიგრანტები ჩამოჰყავთ სხვადასხვა ქვეყნებიდან და აკვირდებიან მათ ეროვნულ თვისებებს. ახლა ამერიკაში უფრო ადვილია თავის შენახვა, აქ ყველაფერი გაქვს, მაგრამ თითქოს შენი არ არის, სიტკბო აკლია, მშობლიური სიტკბო და წლების განმავლობაში შეიძლება იგრძნო თავი დამხვდურად და არა მოსულად. თუმცა ჩვენი პატარა საქართველო აქ, ბრუკლინში, გვაქვს. ჩემი ქმარი არის ჩვენი სახლის ასე ვთქვათ, სუპერი. შემოასახლა ქართველების 9 ოჯახი და არის მიპატიჟება-მოპატიჟება, ვის რას სჭირდება -ვეხმარებით ერთმანეთს.

საქართველოდან ჩამოვიტანეთ ვაზის ნერგები და სახლის უკანა ეზოში დავრგეთ, გავაკეთეთ ბაღი,ჩვენს ეზოში ყვავის ჩვენი ხილის ხეები, დიდ ვედროებში ჩავთესეთ ქართული კიტრი და პომიდორი. ზოგი მეზობელი ვაზს სხლავს, ზოგი ნარგავებს უსხამს წყალს და ვართ ასე. ახლაც გამომიგზავნა ბიძაშვილიმა კიტრის თესლი, ჯერ ჭიქებში ჩავრგეთ, ამოიწვერა და მალე გადავრგავთ ეზოში და ასე: რაც გვენატრება სამშობლოსი, ვცდილობთ აქ გვქონდეს. ალბათ, ყველას ჩამოაქვს თავისი რაღაც. იმით

არის ამერიკა კარგი, რომ მრავალეროვანი და მრავალფეროვანია. ყველა ერის წარმომადგენელს უწყობს ხელს, განავითაროს საკუთარი კულტურა, საკუთარი სამზარეულო. ცდილობს , შეუნარჩუნოს თვითმყოფადობა, იდენტობა. აქ მთავარია, ხალხი იყოს დაპურებული, დანაყრებული. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ გაიზარდა და მომძლავრდა ჩვენი ემიგრაცია. თუ ადრე აქა-იქ გაიგონებდით ქართულ ლაპარაკს, ახლა ყოველ ნაბიჯზე ისმის . რაღაც აღარ გაქვს იმის შეგრძნება, რომ უცხო ქვეყანაში ხარ. ამერიკა კეთილი მასპინძელია. მე ევროპის ქვეყნებში არ გამიგონია ასეთი მიღება. თითქოს სკანდინავიის ქვეყნებზე ამბობენ, რომ კარგი პირობები აქვთ ემიგრანტებს. ამ ბოლო დროს იტალიაში გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნიდან ჩასულების პირობები და ეს ჩვენი პატარა ბიჭის 23 წლის ფეხბურთელის გოჩა კვარაცხელიას დამსახურებაა. ამ ერთმა ყმაწვილმა შეძლო ახალი მეგობრობის ხიდი გაედო ჩვენს ორ ხალხს შორის. მაგრამ მე ვთვლი, რომ ამერიკა, მიუხედავად ახალგაზრდობისა, საკმაოდ ძლიერი დემოკრატიის ქვეყანაა. აქ ყველაფერი კანონს ემორჩილება, არ გჭირდება ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, რომ შენი სიმართლე დაამტკიცო (იცინის). აქ ყველაფერი კეთდება კანონის დაცვით.

ინტერვიუერი: - როგორ ინარჩუნებთ კავშირებს საქართველოსთან, თქვენ ახსენეთ, რომ ჩადიხართ ხოლმე საქართველოში, აი რამდენად ხშირად ჩადიხართ, ჩასვლის გარდა კომუნიკაცია ვისთან გაქვთ, რა სიხშირით, აი ქართული იდენტობის შენარჩუნებას, თუნდაც აქ როგორ ახერხებთ, გარდა იმისა, რომ თქვენი საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება ამ საკითხს?

რესპონდენტი: - ეხლა რა არის იცით, ჩვენ იქ ნათესავები გვყავს, ბიძაშვილები არიან... მე ჩემი მოსწავლე, 200 ბავშვი, მეგობრებში მყავს ფეისბუქზე, უკვე გათხოვილები, დაოჯახებულები, ბავშვები, რომ ყავთ, რომელთაც მე ვასწავლიდი და ყოველდღიური

კონტაქტი მაქვს საქართველოსთან და მერე ეხლა, თვითონ „ფესვებში“ როგორი გარემოა იცით, რომ შემოდიხარ, ფიქრობ, რომ პატარა საქართველოში მოხვდი, ფეხს რომ გადმოდგამს ჩვენთან ბავშვი, ის ინგლისურად აღარ ლაპარაკობს, იმიტომ, რომ სკოლაში, მეც ვეუბნები ჩემს ბავშვებს, სკოლაში ხომ ლაპარაკობთ ინგლისურად და სწავლობთ, თქვენი მშობლიური არ დაივიწყოთ, აქ ილაპარაკეთ ქართულად და ოჯახში ილპარაკეთ, მშობლებსაც ვთხოვ, რომ ილაპარაკეთ ქართულად, რომ აი ერთი მოსწავლე მყავს, 12 წლის არი და არ არის ნამყოფი საქართველოში და აი დედაენა, რატომ არისო მშობლიური, სამშობლო, ვეუბნები, რომ სამშობლო, შენ ხომ? შენი მშობლები ხომ იქედან არიან, იქედან არის ჩვენი ძირითადი საცხოვრებელი და სამშობლო, შენი მშობლების, ადგილი, სადაც ისინი დაიბადნენ, სადაც ბებია-ბაბუა... ვეკითხები ბებია-ბაბუა გყავს? -არ ვიცი, აი ღმერთის წყალობით ძალიან იშვიათია ესეთი ბავშვი, ძალიან იშვიათია, მაგრამ ბევრი ცდილობს, რომ შეინარჩუნოს, შემდეგ ჩვენი კურსდამთავრებულები, ბევრი დაოჯახდა, ერთმანეთს ბავშვები მოუნათლეს, ურთიერთობები აქვთ, სახლი იყიდეს, თუ რაღაც იყიდეს, ერთმანეთს ეპატიჟებიან და ეს თანდათან იზრდება და აი ერთი რაღაც მთლიანი ორგანიზმი ხდება, ეხლა ჩემი შვილის პანაშვიდებზე, ნიუ ჯერსიდან, ფილადელფიიდან, ჩვეულებრივად ჩამოვიდნენ ქართველები, ისე უკვირდათ სხვებს ... ფრანგული წარმოშობის ოჯახი იყო და იქ იჯდა თურმე ის კაცი და აკვირდებოდა, ასეთი თანადგომა არ მინახავსო ნიუ-იორკშიო, თქვენ ვინ ხართ რა ხალხი ხართ. ეხლა, ნუ გასაგებია, მე ბევრი მიცნობს, ჩემი მოსწავლეები ბევრი გადავიდა ნიუ ჯერსიში, იქ რაღაც ფილადელფიაში და ნუ გასაგებია ცნობადობა, მაგრამ თანადგობა იყო გასაოცარი და ძალიან ბევრს გაუკვირდა. სასაფლაოზე, სად გვქონდა რამის თავი, მანქანის ადგილი არ იყო, იმდენი მანქანა იყო და გაოცებულები იყვნენ ადგილობრივები, ნუ თითქოს აი პატარა ერი ვართ ხო და რა, აი რამოდენაზე ჩანდა, ადამიანი გეუბნება რომ ნიუ-იორკში მე ასეთი თანადგომა არ მინახავსო და ეს რაღაცნაირად, ალბათ ეს კიდევ მოგვყვება და ჩვენ ჩვენს ბავშვებში თუ არ ჩავდეთ ეს, ჩვენ კი გვაქვს, მაგრამ ჩვენს შვილს და შვილიშვილს შეიძლება აღარ ჰქონდეს, ამიტომ ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ. ეხლა ჩვენებს

ივლისის თვეში ფილარმონიაში დიდი სოლო კონცერტი ექნებათ, 2015 წელს, რომ წყალდიდობა იყო, მაშინ ჩავიდნენ საქველმოქმედო კონცერტით „ფესვები“ საქართველოში, თბილისსა და ბათუმში ჩაატარეს ორი საქველმოქმედო კონცერტი და დაზარალებულებს გადასცეს შემოსული თანხა და ძალიან ბევრი პირველად იყო მაშინ საქართველოში, ძალიან ბევრი შემდეგ წელს ისევ წავიდა. ეხლა აი იანვარში უკვე ბილეთებს იღებენ ხოლმე, ცოტა როგორც კი გამოცდები ჩამთავრდება და რომ გაეშურონ და ეს მასიურად, მასიურად. ერთმანეთის ბავშვები მიჰყავთ ხოლმე, შეიძლება მშობლები ვერ წავიდნენ, დაუშვათ მუშაობენ და რაღაც ხომ, მიჰყავთ ხოლმე ბავშვები, ეხლა აქ ჯგუფი აქვთ თავისი და წერენ 8 წლის ზემოთ 4-5 ბავშვს წავიყვან, ჩემი ორი მიმყავსო (იცინის), რასაკვირველია ეს ოფიციალურად ფორმდება მინდობილობა, ყველაფერი მაგრამ, ყოველ შემემთხვევაში აი ეს არის ახლა..

ინტერვიუერი: - ანუ ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას ხომ, კიდევ რა ფორმით, თქვენ მეუღლეც ახსენეთ, რომ ფაქტიურად მთელი სადარბაზო ქართვლებით დაასახლა. სხვა რა ფორმით უჭერთ მხარს, ეხმარებით, სისტემური სახე აქვს რამე თუ პირადი სანაცნობო წრე, როგორ ვითარდება, მიმდინარეობს ეს პროცესები?

რესპონდენტი: - არა, არა, ეს ჯგუფებიც ხომ არის ეხლა, ჩვენ... ამერიკაში ჯგუფი არის, ემიგრანტების... მზია წულუკიძის... ხომ...ადრე უფრო, ფული გროვდებოდა ხოლმე და ჩემ ერთ მოსწავლეზე ვთხოვე და ფული შემიგროვა მზია წულუკიძემ, გავუგზავნე, ჩავიდა თურქეთში, ანალიზები გაიკეთა, გამოკვლევები გაიკეთა, წამლები დაუნიშნეს, ქიმია გაუკეთეს, 1-2 თვის სიცოცხლის ხანგრძგრძლივობის პერიოდს რომ ეუბნებოდნენ, მეოთხე წელია ცოცხალია ჩემი მოსწავლე, ვეუბნები რომ, აი ბავშვი, რომ მოგწერს, იცის რო შეიძლება მოკვდეს, მე რაც შემიძლია გასაგებია, მაგრამ ათასების მოგროვება და უცებე ესე გაგზავნა ხომ, სწორად გამიგეთ აი, შემდეგ გიორგი ნიკოლეიშვილს აქვს ჯგუფი კიდევ, იქ სხვა გოგო 6 წელი ვაცოცხლეთ და შარშან გარდაიცვალა, ლეიკემია ჰქონდა და 6 წელი ეს გოგო ვაცოცხლეთ, გიორგიმ შეუგროვა ფული. ნიკო ჩხეიძეს სათვისტომო რომ აქვს, ეხლა ჩვენ გვქონდა, კოვიდი, მე, ჩემს მეუღლეს, რძალს და ბავშვებს, მაშინ ჩემთან ცხოვრობდნენ, 5 ადამიანს გვქონდა

ერთად კოვიდი და ვის შემოვუშვებდით ეხლა, იმიტო, რო შემოუშვებდი სახლში, პირველ სართულზე ვცხოვრობთ ჩვენ და ნიკას მეუღლე ეკა, თებერვალში თან წვიმა რომ იყო და თან თოვლი და ჭყაპი, ფანჯარაში შემომიწყობდა ხოლმე ცხელ საჭმელს. ჩვენი კონსული იყო, ქალბატონი დიანა გვეხმარებოდა. აი ინდივიდუალურიც არის დახმარება და ჯგუფურიც რასაკვირველია და ეს კრიზისცენტრი რომ შეიქმნა, ეს იყო ძალიან, ძალიან მიგნებული და სწორი გადაწყვეტილება, ძალიან ბევრი გადარჩა, კოვიდი რომ დაიწყო და კრიზისცენტრი რომ შეიქმნა, ჯერ აქედან იტალიაში ვაგზავნიდით ფულს და იყვნენ მოხალისეები, რომლებიც წამლებს ყიდულობდნენ, ბინებში, სასტუმროებში შეჰყავდათ, ზოგი (დამსაქმებელი) უშვებდა გარეთ (ქართველ ემიგრანტებს), რომ ეშინოდათ და რაღაცა, საჭმლის ფული და წამლის და ბინა და სამსახური და მერე საფრანგეთში დაიწყო, მერე გერმანიაში, მერე აქ იყო სასწაული, სასწაული იყო ამერიკაში და ერთმანეთს ვეხმარებოდით, აი მილენას აქვს, მილენა, გოგო დადიოდა თვითონ თავისი ფულით ყიდულობდა, აფთიაქში შედიოდა, წამლებს, საჭმელს და მიდოდიოდა კოვიდიანთან და მიჰქონდა საჭმელი და აი ძალიან ბევრი ხალხი გამოჩნდა, რაღაცანაირად ამ გაჭირვებამ უფრო დაგვაკავშირა ერთმანეთთან, ეხლა გონიერენდის ჰოსპიტალში არიან ქართველი ექიმები, მე მაგალითად, გიგა ადეიშვილი გინეკოლოგი, მე რომ დღეს ცოცხალი ვარ, დღეს გელაპარაკებით ეს გიგას დამსახურება არის. იქ არის ია, უნიკალური გოგო, ალეკო თორელი არის კარდიოლოგი, აი ქართველების ბატონ-პატრონი და თუ ვინმეს ბავშვი არის გაჩენილი ბრუკლინში, ბრუკლინში ძირითადად ეს არი გიგა ადეიშვილის და რა ვიცი, ყველანაირად, მე მაგალითად, ცუდი ხალხი... შეიძლება მე არა ვარ კონფლიქტური, მე ვარ მასწავლებელი, ჩვეულებრივი, მთელი ცხოვრებაა ვმუშაობ ბავშვებთან და მე არ შემიძლია ვიყო კონფლიქტური და შეიძლება არც მაქვს ისეთ ხალხთან ურთიერთობა, რა ვიცი, ახლა სხვადასხვა ხასიათისაა, მე ვინც შემხვდა, ვისთანაც ვმეგობრობ, თუ ვახლობლობ სულ ყველა არის აი ერთმანეთის დამხმარე, რომ „წაგიყრუოს“, მაპატიეთ ამ გამოთქმაზე, რომ აი რაღაც გჭირდება და ასეთი რაღაცა არ ხდება, არ ვიცი ახლა ევროპაში, მე მგონი ცოტა, იმდენად არ არის მაგრამ, ევროპაშიც

ეხლა მოძლიერდა ცოტა ემიგრაცია და მაინც რამდენი ვართ-მეთქი ვფიქრობ (იღიმის), ამდენი ვყოფილვართ რომ ყველგან, ინდონეზიაშიც არის ქართული სკოლა, 9 ბავშვი ჰყავთ, ჩემი მასწავლებელი იყო, ჩემს სკოლაში ასწავლიდა, დიანა, იქ არის ახლა ინდონეზიაში, გასაოცარი რაღაცეები ხდება.

ინტერვიუერი: - აი ამ გადმოსახედიდან, თუ მიიღებდით იგივე გადსწყვეტილებას, ამერიკაში გადმოსულიყავით საცხოვრებლად?

რესპონდენტი: - ა.. ახლა?... არ ვიცი, არამგონია, ეხლა მე რომ ეხლა საქართველოში ვიყო, მე სკოლაში ვმუშაობდი, საკმაოდ წარმატებულადაც, კერძო პრაქტიკა მქონდა აბიტურენტებს ვამზადებდი, ნუ შემოსავალი, სხვათაშორის ჩემი მოსწავლე ძალიან ბევრი მყავს მომზადებული ჩემი კოლეგების ბავშვები, რომლისთვისაც არასდროს ფული არ გამომირთმევია (იღიმის), ერთი გოგო მოვიდა მიღებაზე ვიყავით, ქალაქის, ნიუ-იორკის მერიაში და ერთი გოგო მოვიდა და - თქვენო მე მიცნობთო, თქვენო რუსუდანი არა ხართო, რუსუდან მასწავლებელო... მე ვუთხარი რაღაც ნაცნობი სახე გაქვს მეთქი ... დარბაზში ახლა ჩვენი კონსულით დაწყებული და ნუ ძალიან სერიოზული ხალხი იყო მიწვეული, ექიმებიც იყვნენ და თუ შეიძლება, რომ მომისმინოთო (მიმართა ამ გოგონამ დარბაზში საზოგადოებას და ქალბატონ რუსუდანს), გაიხსენა, რომ 90-იან წლებში ამ გოგონას ვამზადებდი სხვა სკოლიდან მოვიდა და მერე აღარ დადიოდა და დავურეკე რატომ არ მოდიხართ-მეთქი და ჩვენო ბიზნესში ჩავდეთო ყველაფერიო, 90-იანი წლებია, ყველაფერი დავკარგეთო, ბინაც გაგვიყვესო, მანქანაცო, აგარაკიცო, ნაქირავებში გადავდივართო და არანაირი საშუალება არა გვაქვს ჩვენ, რომ ვიაროთ და მოვემზადოთ, არადა გოგო არის უნიჭიერესი, მე ვუთხარი, რაზეა ლაპარაკი, რას ლაპარაკობთ, არადა მარტია უკვე მისაღები გამოცდები უნდა იყოს და რასაკვირველია, ის ბავშვი მოვამზადე, უფასოზე ჩაირიცხა უნივერსიტეტში, უნიჭიერესი გოგო იყო და ეხლა ნიუ ჯერსიში ცხოვრობს, თავის ოჯახთან ერთად, ამერიკაში წამოსულა და თქვენო სრულიად შეცვალეთო წარმოდგენაო, ჩემი წარმოდგენაო ადამიანებზეო და ჩემი ცხოვრებაც მთლიანად შეცვალეთო და რავიცი ამაზე მეტი ბედნიერება, მე მგონი ეს, ქონება შეიძლება დღეს

გქონდეს და ხვალ არა და ეს (ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელოვანი)... ეკლესიაშიც ვასწავლიდი მე, აქ არის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი და სამი წელი ვასწვალიდი იქ, რასაკვირველია, მე მეუბნებოდნენ მშობლები, რომ ფულს (გადავიხდითო)... იცით მე ვუთხარი, ტაძარში მოვდივარ, რომ აქ დაბადბეულ ბავშვებს, ქართული მშობლიური ენა ვასწავლო, მე ამაში ფული (როგორ ავიღო), ეს ჩემში არ არის და ჩემი შვილის პანაშვიდები, რომ იყო მოვიდა ერთი ბავშვი კი არა უკვე მოზრდილი ბიჭია და ესე ხელში ჩამიდო სეფისკვერები, ჭამეთ, რომ არ მოგშივდეთ, ცუდად არ გახდეთო, ვაიმე ისე გამითბა გული, აი პანაშვიდია, პანაშვიდი მიდის სამგლოვიარო სახლში და მომიახლოვდა, აი ძლივს, უჭირს სიარული, მოვიდა და ხელში ჩამიდო სეფისკვერები, ესო შეჭამეთო რომ ცუდად არ გახდეთო, თქვენ ხო იცით როგორ გვიყვარხართო, თქვენ ხომ იცით გვჭირდები(თო), მთელი დღე ვფიქრობდი ის საღამო, იმ ბავშვის სიტყვებმა გადამატანინა, მაშინ რაც ვნახე ამხელა ჭრილობების შემდეგ ჩემი შვილი და აი ისე გამათბო ამ ბავშვმა და მერე ახლა, შაბათს მიცვალებულების დღე იყო, საკურთხი წავიღე ეკლესიაში და კრიალოსანი ჰქონდა, წაიძრო და ხელზე (გამიკეთა), სტიქაროსანი არის, ეს გქონდეთ, თქვენ ატარეთო და მე ვფიქრობ, აი რომ ეს სხვაგან (ემიგრაციაში) უფრო ღირებულია, შეიძლება იქ არ მიაქციო ყურადღება ამას, მაგრამ აი ამას ყველაფერს სხვაგან უფრო მეტი ფასი აქვს და ხვდები, რო იქაც ასე უნდა იყოს, ადამიანი უნდა დააფასო, სიცოცხლეშივე უნდა სცე პატივი, არაფერი მეტი, აი არაფერი არ არის. ვეძახე ჩემს შვილს და არაფერი... იმის იქეთ მერე არაფერი არ არის. ერთი-ორი მეგობარი მყავს, ერთი იმ მხარეს არი, მეორე იმ მხარეს არის (პოლიტიკური შეხედულებებით), ჩემთან იოხებს ორივე გულს და მე ვეუბნები, ხალხო, დააფასეთ რაც გაქვთ, მე რატომ (მეუბნებით)... ჩემთვის ეხლა ეგ არაფერს არ ნიშნავს საქმის გარჩევები და არასდროს არ დავკავებულვარ დააფასეთ რაც გაქვთ, სანამ გაქვთ დააფასეთ და შეირგეთ, მადლობა უთხარი ღმერთს, რომ ბედნიერი ხარ.

ინტერვიუერი: - ძალიან დიდი მადლობა ქ. რუსუდან ასეთი გულწრფელი და სიანტერესო ინტერვიუსთვის...